ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 718

27 დეკემბერი
"---" -------- 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. №2-ში (ს/კ. №01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს" (ს/ნ. 405411095) და შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლის, პირველი, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების „ქალაქ თბილისში, მარიჯანის ქ.№2-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს" (ს/ნ. 405411095) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის №24.1785.2010 განკარგულების და „ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. №2-ში (ს/კ. №01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს" (ს/ნ. 405411095) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 დეკემბრის №24.2257.2560 განკარგულების აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმის №14-ის საფუძველზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „საბურთალოს" (ს/ნ. 405411095) და შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (№10/0124360629-01, 25.12.2024) შესაბამისად, მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ. №01.14.03.039.007) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №24.1785.2010, 23.10.2024; განკარგულება №24.1968.2208, 20.11.2024) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (განკარგულება №596, 22.11.2024) მიერ შეთანხმებული დამატებითი/დაზუსტებითი (ფაქტობრივად განახლებული) ხელშემწყობი

ღონისძიებების ფარგლებში, დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით - შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობის კროკების წარდგენის გარეშე. ამასთან, მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) განისაზღვროს - 0-ით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე